716-01-4-202012091126

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01/2-716; 09/12/2020 ქ. თბილისი

გიორგი ფანიაშვილის მიმართ დისციპლინური
წარმოების დაწყების შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 88-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტისა და მე-3 პუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოხსენებით ბარათში აღნიშნული დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის სოფიო ქაცარავას წერილის გათვალისწინებით, რომლის მიხედვითაც შესაძლოა ადგილი ქონდეს დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საელჩოს უფროსი მრჩევლის გიორგი ფანიაშვილის მიერ სამსახურებრივ მოვალეობებისადმი გულგრილ დამოკიდებულებას, დაწყებულ იქნას დისციპლინური წარმოება.
2. დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განახორციელოს დისციპლინური წარმოება ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შესაძლო დისციპლინური გადაცდომის, სამსახურებრივ მოვალეობათა განზრახ ან გაუფრთხილებლობით შეუსრულებლობის ფაქტთან დაკავშირებით.
3. დისციპლინური წარმოების ვადა განისაზღვროს ამოქმედებიდან ერთი თვის ვადით.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

<u>**საფუძველი:**</u> 1. შიდა აუდიტის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათი (N42261-01 (04.12.2020));
2. დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის, სოფიო ქაცარავას წერილი N42153-22.

დავით ზალკალიანი

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი